

საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის სპორტულ ღონისძიებათა კალენდარული გეგმის შედგენის წესი

1. ზოგადი დებულებები


1.1. საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის (შემდგომში ფედერაცია) სპორტულ ღონისძიებათა კალენდარული გეგმა წარმოადგენს ფედერაციის და მისი ორგანიზატორების მიერ ჩასატარებელ შეჯიბრებათა განრიგს, რომლის შედგენა, დამტკიცება და მასში ცვლილებების შეტანა ხორციელდება სპეციალურად დადგენილი წესით;

1.2. ორგანიზატორობის კანდიდატის მხრიდან დასაკმაყოფილებელ კრიტერიუმებს, მათ უფლებებს და მათ მიმართ მოთხოვნებს განსაზღვრავს ფედერაციის სპორტული კოდექსი (თავი IV);

2. მიმართვა სარბოლო ღონისძიების ჩატარებასთან დაკავშირებით

2.1. ორგანიზატორობის კანდიდატებმა, რომლებსაც აქვთ სურვილი, მომდევნო წელს ორგანიზება გაუწიონ საავტომობილო ღონისძიებებს (შეჯიბრება, ავტო გარბენი, ავტო გამოფენა და ა.შ.), არაუგვიანეს მიმდინარე წლის 1 დეკემბრისა (თანახმად სსსფ სკ 4.1.1.8.), წერილობითი ფორმით მიმართავენ ფედერაციას მათთვის სასურველ სარბოლო დისციპლინაში ღონისძიებათა ჩანიშვნის შესახებ;

2.2. სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზატორობის კანდიდატმა განაცხადი უნდა წარადგინოს შესაბამისი პროფილის კომისიაში (ქვემოთ მოცემული ცხრილის მიხედვით):



2.3. სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზატორობის კანდიდატის განაცხადში მითითებული უნდა იყოს დაგეგმილი შეჯიბრებ(ებ)ის:

- რაოდენობა;
- სახეობა;
- სტატუსი (დასახელება);

2.4. სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზატორობის კანდიდატები ვალდებული არიან განაცხადს თან დაურთონ დაგეგმილი შეჯიბრებ(ებ)ის:

- ჩატარების წესი;
- რეგლამენტი;
- ტექნიკური მოთხოვნები;

2.5. სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზატორი ვალდებულია ღონისძიების ჩატარებამდე 3 (სამი) კვირით ადრე წარადგინოს ფედერაციაში:

- შეჯიბრების დებულება;
- შეჯიბრების ჩასატარებელ ტერიტორიაზე პასუხისმგებელი საჯარო, თუ კერძო სამართლის იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ გაცემული შეჯიბრების ჩასატარებლად ტერიტორიის დროებით სარგებლობაში გადაცემის თანხმობის წერილი;
- ფედერაციის სატრეკო კომისიასთან შეთანხმებული შეჯიბრების ტერიტორიის „ტრასის პასპორტი“ და უსაფრთხოების გეგმა;

2.6. სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზატორობის კანდიდატების განაცხადებს ფედერაციაში განიხილავს სპორტული საბჭო და საჭიროების შემთხვევაში, იძახებს ორგანიზატორობის კანდიდატებს კონსულტაციისათვის არაუგვიანეს მიმდინარე წლის 24 დეკემბრისა;

3. კალენდარის შედგენა და პრიორიტეტები

3.1. სპორტულ ღონისძიებათა კალენდარულ გეგმას ადგენს ფედერაციის სპორტული საბჭო;

3.2. სპორტულ ღონისძიებათა კალენდარულ გეგმის შედგენისას პრიორიტეტი ენიჭება შემდეგი სტატუსის მქონე ღონისძიებებს:

1. საქართველოს ჩემპიონატი;
2. საქართველოს თასი;
3. ფედერაციის თასი;

სპორტულ ღონისძიებათა კალენდარული გეგმის შედგენის დროს, შეჯიბრებების ნებისმიერ სახეობაში, საქართველოს ჩემპიონატის პირველი ეტაპი არის ამ სახეობის გახსნითი ეტაპი და ნებისმიერი სხვა სტატუსის მქონე სერიის პირველი შეჯიბრება კალენდარში განთავსებული იქნება მხოლოდ მის შემდგომ;

(აღნიშნული სტატუსის მქონე შეჯიბრებებისთვის განკუთვნილ დოკუმენტებს, რომელიც მითითებულია 2.4. პუნქტში, ორგანიზატორს წარუდგენს ფედერაცია, რომელსაც გამოსცემს ორგანიზატორობის კანდიდატების განაცხადების შემოტანის ვადამდე);

3.3. სპორტულ ღონისძიებათა კალენდარულ გეგმის შედგენისას ფედერაცია ითვალისწინებს საქართველოში დაგეგმილი საერთაშორისო შეჯიბრების ეტაპების განრიგს;

3.4. სპორტულ ღონისძიებათა კალენდარული გეგმის შედგენისას, თარიღების მინიჭება პირველ რიგში ხდება 3.2. პუნქტში მითითებულ ღონისძიებებზე, ამ პუნქტში არსებული თანმიმდევრობით. ყოველივე ამის შემდგომ შეჯიბრების ჩატარების თარიღი მიენიჭება ნაკლებ სტატუსიან ღონისძიებებს;

3.5. ორი ან მეტი ორგანიზატორის მიერ, ერთი და იგივე სტატუსის, ერთი და იგივე სახეობის შეჯიბრების ჩატარების შესახებ მოთხოვნის შემთხვევაში, პრიორიტეტი ენიჭება ორგანიზატორობის იმ კანდიდატს, რომელიც უკანასკნელად ატარებდა ამ სახეობის და ამ სტატუსის შეჯიბრებებს;

3.6. თუ მოცემული წესის 3.5 პუნქტით გათვალისწინებული კონფლიქტის მხარეებს გააჩნიათ ერთი და იმავე სტატუსის მქონე შეჯიბრების ჩატარების გამოცდილება, პრიორიტეტი მიენიჭება უფრო მაღალი კვალიფიკაციის მქონე ორგანიზატორს, მიმდინარე წელს ჩატარებული შეჯიბრების არსებულ რეგულაციებთან შესაბამისობის შესახებ სსსფ-ს დამკვირვებლის მიერ წარმოდგენილი ანგარიშების საფუძველზე;

- 3.7. ერთი და იგივე სახეობის სპორტული ღონისძიებების, ფედერაციის სპორტულ ღონისძიებათა კალენდარულ გეგმაში ჩასმის დროს დაცული უნდა იყოს სულ მცირე 2 (ორი) კვირიანი შუალედი ქვეყნის მასშტაბით;
- 3.8. ერთი და იგივე რეგიონში, ქალაქში, რაიონული ცენტრში და ა.შ., ერთი და იმავე დღეს, დაუშვებელია ორი ან მეტი შეჯიბრების ჩატარება;
- 3.9. ერთი და იგივე რეგიონში, ქალაქში, რაიონული ცენტრში და ა.შ., ერთი და იმავე დღეს, შეჯიბრებასთან ერთად დაშვებელია ავტო გადარბენის და ავტო გამოფენის მოწყობა;
- 3.10. თუ ორ ან მეტ ორგანიზატორს შორის შეუძლებელია 3.2 პუნქტით გათვალისწინებული სტატუსის მქონე შეჯიბრების ჩატარებასთან დაკავშირებით პრიორიტეტის მინიჭება, ფედერაცია უფლებამოსილია:
- ა) მიანიჭოს ორ, ან მეტ ორგანიზატორს ერთი და იმავე სტატუსის მქონე შეჯიბრის სხვადასხვა ეტაპების ჩატარების უფლება;
 - ბ) მიიღოს გადაწყვეტილება წილისყრის საფუძველზე;
- 3.11. ორგანიზატორის სტატუსი აქტიურია მას შემდეგ, როდესაც ორგანიზატორობის კანდიდატთან ფედერაციის მხრიდან გაფორმდება ხელშეკრულება, რომელშიც მითითებულია იმ ღონისძიების ან ღონისძიებათა ჯგუფის სახეობა და სტატუსი, რომელზეც სპორტული საბჭოს მხრიდან მიღებულ იქნა გადაწყვეტილება;
- 3.12. მოცემული წესის 2.1. პუნქტით გათვალისწინებული განაცხადებში წარმოდგენილი შეჯიბრების, ან მათი თარიღებისა და ჩატარების ადგილების კონსულტაციის, წილისყრის, ან სხვა სახით შეცვლის შემთხვევაში ორგანიზატორები ადგილზე აწერენ ხელს მიღწეულ შეთანხმებას, რითაც ადასტურებენ ფედერაციის წინაშე მათ მიერ აღებულ ვალდებულებას;
- 3.13. ხელმოწერაზე უარი არ ათავისუფლებს ორგანიზატორს ვალდებულებისგან და შესაძლოა გახდეს მოთხოვნილი ღონისძიებების სპორტულ ღონისძიებათა კალენდარული გეგმიდან ამოღების საფუძველი.

4. კალენდარის დამტკიცება

- 4.1. ორგანიზატორობის კანდიდატის მიერ წარმოდგენილი განაცხადების შესაბამის

კომისიაში განხილვის შემდგომ, ღონისძიებების თარიღებთან დაკავშირებით საბოლოო შეთანხმება ხდება ფედერაციის სპორტულ საბჭოში. ფედერაციის სპორტული საბჭო წარუდგენს კალენდარს ფედერაციის შესაბამის ორგანოს გამოსაქვეყნებლად;

4.2. ფედერაციის სპორტულ ღონისძიებათა კალენდარულ გეგმას ამტკიცებს ფედერაციის სპორტული საბჭო;

4.3. ფედერაციის სპორტული საბჭო ვალდებულია დაამტკიცოს და გამოაქვეყნოს კალენდარი არაუგვიანეს 20 იანვრისა;

5. ცვლილებების შეტანა კალენდარში

5.1. დაუშვებელია ნებისმიერ სარბოლო სახეობაში საქართველოს ჩეპიონატის გახსნითი (პირველი) ეტაპის ჩატარებამდე, სხვა ანალოგიური სარბოლო სახეობის შეჯიბრების ჩამატება სპორტულ ღონისძიებათა კალენდარული გეგმის დამტკიცების შემდგომ;

5.2. დაუშვებელია ამა თუ იმ სარბოლო სახეობაში მოცემული წესების 3.2. პუნქტით გათვალისწინებული სტატუსის მქონე შეჯიბრის ჩამატება კალენდარის დამტკიცების შემდგომ;

5.3. ფედერაციის სპორტულ ღონისძიებათა კალენდარული გეგმის შედგენის და სპორტული საბჭოს მიერ დამტკიცების შემდგომ შესაძლებელია მასში ცვლილებების შეტანა ღონისძიების დამატების სახით. ასეთს შეიძლება წარმოადგენდეს, ერთჯერადი ღონისძიება ან ან ღონისძიებათა ჯგუფი, მაგრამ არცერთი მათგანი არ უნდა წარმოადგენდეს ისეთი სტატუსის მქონეს, რომელიც მითითებულია 3.2. პუნქტში და ასეთი ღონისძიებების სპორტულ ღონისძიებათა კალენდარულ გეგმაში ჩასმის დროს დაცული უნდა იყოს ამ დოკუმენტით განსაზღვრული 3.7., 3.8., და 3.9. პუნქტებით განსაზღვრული ვალდებულებები.

5.4. სპორტულ ღონისძიებათა კალენდარული გეგმის დამტკიცების შემდგომ, დაუშვებელია მასში ჩანიშნული შეჯიბრების თარიღის, ან სტატუსის შეცვლა, ან სტატუსის მქონე შეჯიბრების ჩანაცვლება სტატუსის არმქონე შეჯიბრებით;

5.5. იმ შემთხვევაში, თუ ორგანიზატორი ვერ ატარებს შეჯიბრებას ან მისი ჩატარების ნებართვას გადასცემს მესამე პირს, აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ,

წერილობითი ფორმით, ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით ატყობინებს
ფედერაციას (თანახმად სსსფ-ს სკ თავი IV);

- 5.6. ფედერაცია ვალდებულია, შეტყობინების მიღების შემდეგ, უმოკლეს ვადაში
გამოაქვეყნოს ინფორმაცია შეჯიბრების გაუქმების შესახებ;